



**უნივერსიტეტ გეომედის მამაკაცები ვულოცავთ უნივერსიტეტის ქალბატონებსა და სტუდენტ გოგონებს მარტის ლამაზ დღესასწაულებს: 3 მარტს - დედათა და 8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღეებს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებას როგორც პირად, ისევე პროფესიულ საქმიანობაში. მუდამ გაზაფხულივით ყოფილიყავით ჩვენო ძვირფასო და განუმეორებელი ქალბატონებო!**

### მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღე

გაერო მოუწოდებს სახელმწიფოებს ხელი შეუწყონ ქალების თანასწორ განვითარებას მეცნიერებასა და განათლებაში. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება იყო გაეროს გადანაცვებით 2011 წლიდან 11 თებერვლის გამოცხადება მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღედ. 2021 წელს ეს დღე მიეძღვნა COVID19-თან წინა ხაზზე მებრძოლ ქალ-მეცნიერებს.

მეცნიერული მუშაობის განვითარებისთვის უნივერსიტეტ გეომედში შექმნილია სამეცნიერო ფონდი, რომლის მიზანია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება, კვლევითი პროექტების დაფინანსება, უნივერსიტეტის ფარგლებში თუ მის გარეთ ახალგაზრდა მეცნიერების ჩართვა კვლევით პროცესში, კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაცია. უნივერსიტეტში აკადემიური/აფილირებული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა წელიწადში ერთხელ ფასდება. 2021 წლის თებერვალში ჩატარებული შეფასების შედეგად პირველი და მეორე ადგილი ქალ-მეცნიერთა შორის განაწილდა:

1. მარინა ფირცხალავა
2. მაია რუხაძე
3. მალხაზ ვახანია

მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტ გეომედის დამფუძნებელი და რექტორი, პროფესორი მარინა ფირცხალავა ნაყოფიერ საერთაშორისო სამეცნიერო საქმიანობას ეწევა და მიღებული აქვს არაერთი ჯილდო სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობისთვის. სწორედ პროფესორ მარინა ფირცხალავას ინიციატივით შეიქმნა უნივერსიტეტ გეომედში კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და დაარსდა სამეცნიერო ფონდი, რომლის მიზანია ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდა.

### უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტები Covid 19-ის წინააღმდეგ



Covid 19-ის პანდემიის პერიოდში დაინიშნა მუშაობა ქალაქ გორში, სასტუმრო „ვიქტორიაში“ ექიმის პოზიციაზე. ჩემთვის ეს იყო პირველი გამოწვევა, როდესაც მომიწია ექიმად მუშაობა.

სტუდენტობის პარალელურად უმცროს ექიმად ვმუშაობდი და გადანაცვებით მიღება ძირითადად ექიმებს უწევდათ. უნივერსიტეტ გეომედში სწავლისას, ასევე ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრსა და ლანცეტის კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში მუშაობისას მივიღე საკმაო ცოდნა და გამოცდილება, რამაც შესაძლებლობა მომცა დამოუკიდებლად დაეხმარებოდი კოვიდ სასტუმროს პაციენტებს. ძირითადად საშუალო სირთულის პაციენტები შემოდიოდნენ და თერაპიულად მკურნალობა არ მიჭირდა.

ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა იყო და შემცვლელი არ გვყავდა, მაგრამ მე და ჩემმა ექთანმა ქალბატონმა ქეთევან ბაღრიანიმ მოვახერხეთ კარგი გუნდის შექმნა, რის გამოც არ გაგვიჭირდა ორი თვე სასტუმროში მუშაობა და ცხოვრება. ამ დროის განმავლობაში 41 პაციენტი მივიღეთ და თითოეული მათგანი სრულიად გამოჯანმრთელდა. რაც შეეხება მძიმე პაციენტებს, მინდა გამოვყო ბერ - მონაზონი, რომელსაც მძიმე მდგომარეობის გამო თბილისში ჩაუტარდა გამოკვლევები, რის

საფუძველზეც ჩემ მიერ დანიშნულმა სათანადო მკურნალობამ დადებითი შედეგი მოგვცა და მამაო სრულიად გამოჯანმრთელდა. მისმა მოქმედებამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა, რადგან თავისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მიუხედავად სხვა პაციენტებზე ფიქრობდა: ნერვიულობდა და ხშირად მეკითხებოდა მათი მდგომარეობის შესახებ.

მოხარული ვარ, რომ უნივერსიტეტ გეომედში მიღებული ცოდნა და გამოცდილება მოვახმარე ჩვენს ქვეყანას.

მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი  
გიგა აფციაური



სიმღერა „ჩაკრულო“.

უნივერსიტეტი გეომედი ულოცავს ბატონ ნუგზარ ალექსიძეს ამ დიდ მიღწევას და წარმატებებს უსურვებს შემდგომ სამეცნიერო საქმიანობაში.

ყურნალ ასტრობიოლოგიაში გამოქვეყნებული პროგნოზისა და საერთაშორისო კონფერენციებში აქტიური მონაწილეობის გამო ნუგზარ ალექსიძის სახელი ჩაინერა იმ ასტრობიოლოგთა სიაში, რომელიც 2020 წელს გაიგზავნა და 2021 წლის 18 თებერვალს, აშშ-ს დროით 11 საათზე ჩატარდა იქნა მარსზე. ეს მეორე შემთხვევაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მას შემდეგ, რაც მარსზე გაიგზავნილი იყო ქართული

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით პერიოდულად იმართება შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა გაიმართა 2021 წლის 4 თებერვალს სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ წარმომადგენელთან - მარია ჩანტლაძესთან და „გერმანული ჰოსპიტალის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსთან - მაგდა კოტრიკაძესთან. ხოლო, 2021 წლის 10 თებერვალს ანალოგიური შეხვედრა შედგა „ნიუ ჰოსპიტალის“ წარმომადგენელ - ანა ჭირაქაძესა და გეომედის საუნივერსიტეტო სტრატეგიული კლინიკის ხელმძღვანელ - გიორგი მოდებაძესთან. ამ შეხვედრებში საუბარი იყო დასაქმების პერსპექტივებზე მათ ორგანიზაციებში და დასაქმებისთვის საჭირო პროფესიულ და პიროვნულ უნარ-ჩვევებზე. ასევე, თანამედროვე პრობის ბაზრის მოთხოვნებზე. ურთიერთობების ეს ფორმა საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის. რამდენიმე მათგანმა კი უკვე მიიღო შემოთავაზება დასაქმების შესახებ ზემოთ აღნიშნული კლინიკებისაგან.

# საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა



გეომედის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ კლინიკას მრავალწლიანი ისტორია აქვს. ამ წლების მანძილზე ეტაპობრივად ხდებოდა კლინიკის წინსვლა და განვითარება. არაერთი წარმატებული ექიმი აღზრდილა ჩვენს კედლებში. ერთ-ერთი მათგანი ვარ მეც, რომელსაც დამაკისრეს კლინიკის ხელმძღვანელობა, რაც ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა.

კლინიკის მთავარ ექიმად დანიშნვის დღიდან, მიზნად დავისახე, რომ საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურმა კლინიკამ სრულად უპასუხოს ყველა გამოწვევას, იყოს კონკურენტული, სანდო და პაციენტებისთვის საიმედო ადგილი.

სტომატოლოგიურ კლინიკაში ეტაპობრივად შეიქმნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: შემოვიტანეთ ახალი საბუენი მასალები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რაც შემდგომში ხელის შემწყობი ფაქტორი აღმოჩნდა გაზრდილიყო სერვისის ხარისხი. ასევე, გავზარდეთ თანამშრომელთა რაოდენობა. ჩვენი კლინიკა დაკომპლექტდა პროფესიონალთა გუნდით, რომელიც ხშირ შემთხვევაში, კონსილიუმის წესით განიხილავს თითოეულ ქეისს.

საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა არის ადგილი, სადაც სტუდენტებსა და ექიმ-რეზიდენტებს მაღალკვალიფიციური განათლება მიეწოდებათ, ხდება ექიმად მუშაობის პროცესში მათთვის შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, ეს კი შემდგომში აისახება მათი კვალიფიკაციის ხარისხზე.

ვთვლი, რომ გვერდით მიდგას ძლიერი გუნდი. ასევე, ვგრძნობ დიდ მხარდაჭერას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტის რექტორს, ქალბატონ მარინა ფირცხალავას სტომატოლოგიური კლინიკის წინსვლაში შეტანილი წვლილისთვის. ვუსურვებ ჯანმრთელობას თითოეულ ჩვენს პაციენტს და წარმატებებს სტუდენტებს, ექიმ-რეზიდენტებს და ჩვენს გუნდს, რომელიც მე ყოველ დღე მაძლიერებს.

პატივისცემით,  
საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის მთავარი ექიმი  
**გიორგი მოღებაძე**



მე ვსწავლობ მედიცინის ფაკულტეტზე უნივერსიტეტ გეომედში. ამჟამად ვარ მეცხრე სემესტრის სტუდენტი. უნივერსიტეტი გეომედი ავირჩიე მისი მაღალი აკადემიური რეპუტაციის და სწავლების ხარისხის გამო. იმედი არ გამცრუებია: პროფესორები არიან ძალიან მეგობრულები, მუდამ მზად არიან დასახმარებლად. მედიცინის ფაკულტეტის

სასწავლო პროგრამა კარგად არის მომზადებული, უზრუნველყოფილი ვართ ბეჭდური და ციფრული რესურსით, სწავლება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ლექტორი კარგად საუბრობს ინგლისურად.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაცია არის ძალიან მეგობრული და მზად არის დაეხმაროს სტუდენტს ნებისმიერ სიტუაციაში.

ზოგადად, ძალიან მომწონს საქართველოში ყოფნა. როდესაც პირველად ჩამოვედი თბილისში შთაბეჭდილებების ქვეშ ვიყავი. აღსანიშნავია, რამდენად მშვიდი და ყურადღებიანები არიან ქართველები. რომ არაფერი ვთქვათ მათ ეროვნულ ფასეულობებზე და მრავალფეროვან სამხარეულოზე. მოხარული ვარ, რომ ჩამოვედი საქართველოში და გავხდი გეომედის ნაწილი.

მედიცინის ფაკულტეტის მე-9 სემესტრის სტუდენტი  
**გურლინ სინგჰ**



როდესაც ვფიქრობდი თუ რომელ უნივერსიტეტში ჩამებარებინა, ყურადღება მიიქცია გეომედის ერთ-ერთი ფაკულტეტის დასახელებამ - ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტი. ეს სფერო საინტერესოა ჩემთვის, ამიტომ გადავწყვიტე ჩამებარებინა სწორედ ამ უნივერსიტეტში და ვთვლი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. გეომედში დამხვდა თბილი და მეგობრული გარემო, რომელიც ორმაგად დამეხმარა საინტერესო საგნების კარგად სწავლაში. ცხოვრებაში ძალიან

მნიშვნელოვანია სწორი არჩევანი, რომ შემდგომ შეძლო წარმატების მიღწევა. სწორედ ამიტომ ავირჩიე უნივერსიტეტი გეომედი, რომელიც დაკომპლექტებულია პროფესიონალთა გუნდით და კვალიფიციური ლექტორებით. სტუდენტებს ვერჩევ მაქსიმალურად გამოიყენონ ამ უნივერსიტეტის შესაძლებლობები.

უნივერსიტეტ გეომედის კურსდამთავრებული  
**სერგი ლეუვა**

## ისტორიის საგანი და ისტორიის სწავლების თანამედროვე

### მეთოდები

ისტორიის ცოდნის აუცილებლობაზე, კაცობრიობის უდიდესი მოაზროვნენი ყოველთვის ინტერესით მსჯელობდნენ. ჩვენთვის სახელმძღვანელოდ ყველაზე კარგი ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული მოსაზრებაა: „ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, განყალბება, იქიდან დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავის წარსულისა, თავისი ყოფილის ცხოვრებისა...“ ქართველი პატრიოტების, დიდი მეცნიერების მიერ უძველესი დროიდან იწყება ქვეყნის ისტორიის შესწავლა და საზოგადოებისთვის ისტორიული ჰეროიკული მასალის ჯერ თხრობით, შემდეგ წერილობით გადმოცემა. ისტორიის მამათ ჰეროდოტე ითვლება. საქართველოში ლეონტი მროველი (ვინც ვიცით.) რომელმაც სისტემური სახე მისცა. ძველი დროიდან მოყოლებული საბჭოთა პერიოდამდე, როდესაც მართო მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი იყვნენ მეცნიერები და მხოლოდ მათი იდეოლოგიური „ჩარჩოებით“ შეიძლება შემოვფარგლულიყავით. სხვა ყველას და ყველაფერს „სამინელი“ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ერქვა. საინტერესოა, რომ ჩვენ საბჭოთა პერიოდში გვაცნობდნენ არა მათი ე. ი. ბურჟუაზიული ისტორიკოსების შემოქმედებას, მათ ნააზრევს არამედ... გვასწავლიდნენ მათ კრიტიკას. ჩემი შესწავლის მიზანია, საზოგადოებას გავაცნოთ ისტორიის, როგორც მეცნიერების ისტორია, ისტორიოგრაფია და განვაზოგადოთ თანამედროვე ისტორიის შესწავლისა და სწავლების ფორმები და მეთოდები. ჩამოვაცილოთ მარქსიზმ-ლენინიზმი და თბიქტური გავხადოთ ისტორიული ფაქტების შესწავლა, ისე როგორც მსოფლიოშია.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
**პაატა ჩიქოვანი**

## კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე



4 თებერვალს მთელს მსოფლიოში კიბოსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნება. კიბო დღემდე რჩება მსოფლიოში სიკვდილის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად. სწორედ სიმსივნური დაავადებების პრევენციის მიზნით და ამ უდიდესი გამოწვევის მიმართ ყურადღების მისაპყრობად დააფუძნა ეს დღე კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კონტროლის კავშირმა 2005 წელს.

კიბოსთან ბრძოლის დღის აღნიშვნა მიზნად ისახავს ადამიანების გაერთიანებას და ფოკუსირებას ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორცაა: დაავადების ადრეულ ეტაპზე გამოვლენის უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის არჩევა და ა.შ.

კიბოსთან ბრძოლაში უმნიშვნელოვანესია საზოგადოების ინფორმირებულობა, რეგულარული სკრინინგი, რაც საშუალებას იძლევა ადრეულ ეტაპზე გამოვლინდეს დაავადება. ეს კი თავის მხრივ, განკურნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.



The men of University Geomedi congratulate the women and students of the University on the beautiful holidays of March 3 - International Mother's Day and March 8 - International Women's Day.  
We wish you health and success in both personal and professional activities.  
Always be like spring, our dear and unique Ladies.

## International Day of Women and Girls in Science

The UN calls on states to promote the equal development of women in science and education. One such event is the UN decision to declare February 11, 2011 the International Day of Women Scientists and Girls. In 2021, this day was dedicated to women scientists fighting on the front line with COVID19.

For the development of scientific work, the University has established a scientific foundation, the purpose of which is to carry out scientific research activities, to fund research projects, to involve young scientists in the research process inside and outside the university, to integrate research results into the teaching process. The scientific-research activities of the academic / affiliated staff at the University are evaluated once a year. As a result of the evaluation conducted in February 2021, the first and second places were distributed among women scientists:

1. Marina Pirtskhalava
2. Maia Rukhadze
3. Malkhaz Vakhania

It is important that the founder and rector of the University Geomedi, Professor Marina Pirtskhalava, engages in fruitful international scientific work and has received numerous awards for scientific and pedagogical work. It was on the initiative of Professor Marina Pirtskhalava that the Scientific-Research Institute of Clinical Medicine was established at the University of Geomedi and a scientific foundation was established with the aim of educating young scientists.

## Geomedi Students against Covid 19



During the Covid 19 Pandemic I started working as a doctor at the Victoria Hotel in Gori and it was a great challenge for me when I had to work as a doctor.

Being a student, I worked as a junior doctor as well and the decision was mainly made by doctors. While studying at Geomedi University, I had a chance to work in the intensive care units of Ghudushauri and Lancet clinics. As a result I gained considerable knowledge and experience, enabling me to independently assist patients at the Covid Hotel.

Due to the situation in the country there was a need for medical staff. As we did not have substitute doctors my nurse Ketevan Nadriashvili and I made a good team, so it was not difficult to work and live in a hotel for two months. During this time we received 41 patients and each of them recovered completely. As for the seriously ill patients, I remember the monk who was taken to Tbilisi for examination. Based on the examinations, I prescribed the treatment, which gave us a positive result and he recovered completely. His care and attention towards other patients notwithstanding his own serious condition impressed me greatly.

I am glad to have applied the knowledge and experience gained at Geomedi University to my country.

Student of the Faculty of Medicine  
Giga Aptsiauri



For active participation in astrobiology, the information about the honored scientist Nugzar Aleksidze was included in the data sent on Mars in 2020 and arrived on February 18, 2021, at 11 o'clock US time. This is the second case when the name of Georgian scientist was sent to Mars, after the Georgian song "Chakrulo".

The University Geomedi congratulates Nugzar Aleksidze on this accomplishment and wishes him success in his future scientific research work.



Dr. Inderbir Singh was as a famous Indian scientist. He wrote first book in Anatomy, on Human Embryology in 1974. This was followed by publication of a series of books covering all aspects of anatomy which are very popular amongst undergraduate and postgraduate students and teachers. Apart from teaching anatomy, his main occupation was research. He is quoted in several text books with more than 100 publications in national and international journals of repute. In recognition of his great contribution to anatomy he was the first anatomist to be conferred with Prof. Inderjit Dewan Life Time Achievement Award in 2012 at PGI Chandigarh by the North States Chapter of the ASI.

## University Dental Clinic



Geomedi University Dental Clinic has a long history. Over the years, the clinic has been gradually advancing and developing Step by step.

Not a single successful doctor has been brought up within our walls. I am one of them, who has been assigned the management of the clinic, which is a very big responsibility. From the day I was appointed as the Clinic Chief Physician, I have aimed to make the University Dental Clinic fully responsive to all challenges, to be a competitive, reliable and reliable place for patients. The material and technical base of the dental clinic was gradually changed: we introduced new bridges, individual protection means, which later turned out to be a contributing factor to increase the quality of service. Also, increase the number of employees. Our clinic is staffed by a team of professionals who often review each case in consultation.

The University Dental Clinic is a place where students and medical residents are provided with highly qualified education, the relevant skills are developed for them in the process of working as a doctor, and this is further reflected in the quality of their qualifications.

I think a strong team is coming to the side. Also, I feel great support from the university administration. I would like to thank the Rector of the University, Ms. Marina Pirtskhalava, for her contribution to the advancement of the Dental Clinic. I wish good health to each of our patients and good luck to the students, doctor-residents and our team that I am strengthening every day.

Sincerely,

Chief Physician of the University Dental Clinic

**Giorgi Modebadze**

In order to facilitate the employment of students and graduates Student Relations Office of University Geomedi periodically organizes remote meetings with potential employers. One of the meetings was held on February 4, 2021 with the representative of the medical corporation "Evex"-Mariam Chantladze and Magda Kotrikadze- representative of "German Hospital". One more meeting was also held on February 10, 2021 with a representative of "New Hospital"- Ana Chikaradze and the head of Geomedi University Dental Clinic-Giorgi Modebadze. They discussed about employment prospects and professional skills required for employment in their organizations. The workshop was quite productive for students and graduates. Several of them have already received job offers from this clinics.



I'm studying Medicine at Geomedi University. Now I am a student of 9<sup>th</sup> semester. I have chosen this University, because of its great academic reputation and the high quality of teaching. I wasn't disappointed. The professors are very friendly and helpful. The curriculum of

the Faculty of Medicine is well-developed, we are provided with printed and digital resources. Teaching process is in accordance with modern standards. It's important that all lecturers speak in English fluently. The administration is very friendly and ready to give students a hand in every situation.

In general, I like being in Georgia very much. When I first arrived in Tbilisi I was impressed. It's noteworthy how calm and attentive Georgians are. Not to say anything about their national values and a wide range of cuisine. I am glad that I came to Georgia and became a part of the University Geomedi.

Student of the Faculty of Medicine

**Gurleen-Singh**



When I was choosing the university where I was going to study, I was interested in the name one of the faculties of University Geomedi - Health Care Economics and Management. This field was interesting for me so I decided to study right here and I think I made right decision. I found a warm and friendly environment in Geomedi, which helped me to study interesting subjects well. It is very important to make the right choice to achieve success in the future. That is why I chose University Geomedi, which is staffed with a team of professionals and qualified lecturers.

I advise students to use the opportunities of the university.


Graduate of University Geomedi

**Sergi Lezhava**

### World Cancer Day

4 February is a World Cancer Day. Cancer is one of the leading causes of death in the world. The day was founded in 2005 by the Union for International Cancer Control (UICC) to prevent and raise attention for cancer.

The celebration of Cancer Day aims to unite people and focus on such important issues as: early detection of the disease, choosing a healthy lifestyle, etc. The most important thing in the fight is raise public awareness of cancer, regular screening, which allows to detect the disease at an early stage. This is one of the most important conditions for healing.



### Happy Maha Shivratri



Maha Shivratri is a famous Hindu festival celebrated each year in honour of Lord Shiva, the Hindu god of destruction and regeneration. It is celebrated 11 March across India and in most states. It is observed to mark a remembrance of 'overcoming darkness and ignorance' in life and the world. Maha Shivratri is the night when Shiva performs the heavenly dance. According to believers, this saved the world from destruction. Unlike most Hindu festivals which are celebrated during the day, the Maha Shivratri is celebrated at night and it is a solemn event. The ardent devotees keep awake all night. Others visit one of the Shiva temples or go on pilgrimage to Jyotirlingams.

This is an ancient Hindu festival whose origin date is unknown. Government offices and educational institutions in India are closed on this holiday.